„ მოვიდა აპრილი და ტიტებზე გაიარა“

ყოველი ერის ისტორიაში არის ისეთი თარიღები და მოვლენები საუკუნეებს რომ გადაეცემა ხოლმე.ამ მხრივ არც საქართველოს ისტორიაა გამონაკლისი, თუმცა საუბედუროდ, ტრაგიკული სჭარბობს საზეიმოს. მრავალტანჯული საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა 1989წ. 9 აპრილს, როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და დაწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილე ქართველები, მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლო უყვარდათ და მისი თავისუფლება სურდათ.

ამ დღეზე იმდენი დაიწერა, იმდენი ითქვა, რომ ჩვენ ახალს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ამ პატარა ღონისძიებით გვინდა კიდევ ერთხელ ქედი მოვიხაროთ ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნის წინაშე.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი 1985წ. მარტში გახდა მიხეილ გორბჩოვი, ფარდა აეხადა ბნელით მოცულ, საგულდაგულოდ მიჩქმალულ და გაყალბებულ უახლეს ისტორიას. დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელმაც ისტორიაში მიიღო „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ სახელწოდება, რომლის არქიტექტორადაც გორბაჩოვი იქცა,თუმცა აღნიშნულმა რეფორმებმა კრახი განიცადა, რადგან უკვე დრომოჭმული სისტემის სიცოცხლის შენარჩუნება რეფორმებით შეუძლებელი აღმოჩნდა.

კრიზისმა თავი ჯერ კიდევ ავღანეთში მიმდინარე ომის დროს იჩინა თავი, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური პრობლემებიც დაემატა. ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა მათ აღმოსაფხვრელად. იმპერიის დაშლა ახლოვდებოდა. დადგა დრო, როცა ჩვენს ქვეყანას საკუთარ თავზე უნდა ეზრუნა.

დასაბამიდან ანდერძად გქონდა
თავისუფლება გულს დასახული,
ახლა თვითეულ კოკორში სუნთქავ
ულევ სიცოცხლით და გაზაფხულით.

დასაბამიდან ხმალშემორტყმული
დგეხარ და მტერი უამრავია,
შენი მარჯვენა და შენი დროშა
ორი ათას წლის ნაომარია!

მზიანო მხარევ, ცოტას ნათობდი,
იცოდი ბევრი შემოღამება,
ვინ ჩამოთვალოს შენი ჭრილობა,
შენი გმირობა, შენი წამება,

ყველა მოჰქროდა შენს შესამუსრად,
მეზობელი თუ გადამთიელი –
არაბი, თურქი, სპარსი, ხაზარი,
ლეკი, მონღოლი, ბიზანტიელი.

შენ ისევ დგეხარ, თუმცა სისხლის ზღვამ

და ცეცხლის წარღვნამ გადაგიარა,
ყველას უნდოდა შენი დალეწა,
თვით დაილეწნენ, იქმნენ იავარ!

საქართველოში ერთ-ერთი პირველი არაკომუნისტური ორგანიზაცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოება 1987წ. შეიქმნა, სადაც თავი მოიყარა მომავალში არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა. 1988-89წწ ასპარეზზე გამოვიდნენ: სახალხო ფრონტი, შ.რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწვანეთა პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება. მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ეროვნულ მოძრაობაში წამყვან როლს ასრულებდნენ: ირაკლი შენგელაია, თამარ ჩხეიძე,გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები.

ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი 1988წლიდან მიიღო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოსთხოვეს, რასაც საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის ჩვენთვის მიუღებელი მუხლების შეცვლაც დაემატა. საზოგადოების ნაწილი ამ ცვლილებებს, კავშირიდან გასვლისა და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვდა.

ვინა სთქვა საქართველოზე,
„ეგ არის ლომი კვდებაო,
ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი,
მალე მზეც გაუქრებაო,
თავს დასტრიალებს ყორანი,
დასჩხავის ზედიზედაო?!“
თვალთამც დაჰბზარვენ ყორანნი,
გამაგრდი, ქართვლის დედაო!
ბევრმა გვიქადა კვლავაცა,
ბევრმა იუბნა ესაო,
ბევრმა გვიკრიჭა კბილები,
ჩუმად ფრანგული ლესაო.
ცუდად წაუხდათ ქადილი,
ვერრას გამოჰრჩნენ ვეფხვსაო,
ლეკვები წამოეზარდნენ,
მტრებზედ ილესენ ბწკლებსაო,

გამოდით, ქართვლის შვილებო,
ერთად შევნივთდეთ ძალები,
წავიდეთ მტერზედ რისხვითა:
ბევრი გვიმართებს ვალები,
დაე, სულ გავწყდეთ, რა ვუყავთ,
დაე, დამიწდეს მკლავები:
დედანი დაგვიტირებენ,
ცრემლებს დაჰღვრიან ქალები,
საფლავს არ შეძრწუნდებიან
ჩვენთა წინაპართ ძვალები.

1989წ.გაზაფხულზე ვითარება დაძაბა აფხაზი სეპარატისტების გააქტიურებამ.მათ სოფელ ლიხნში გამართულ გამართულ მრავალათასიან თავყრილობაზე მიიღეს მიმართვა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ.აფხაზების არასამართლიანმა მოთხოვნებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია საქართველოში.1989წ. 4 აპრილს მთავრობის სახლის წინ უწყვეტი მიტინგები დაიწყო. მომიტინგეებმა მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება.ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების ანტიქართულ ქმედებებზე.მომდევნო დღეებში მომიტინგეებს შეუერთდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები.

მომიტინგეებმა წამოაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა.მიტინგი ხალხმრავალ მანიფესტაციად გადაიქცა.მომიტინგეთა ჯგუფმა შიმშილობა დაიწყო. ისინი ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ.
სიმღერა -დაუკარით

ასეთმა რადიკალურმა მოთხოვნებმა ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის დაპირისპირება გამოიწვია.ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომებისთვის მიემართა.ეროვნული მოძრაობა იმპერიის ყველაზე დიდ მინაპოვარს -იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრა. 1989 წლის 8 აპრილს მოსკოვის ზეგავლენით საქართველოს რესპუბლიკური აქტივის კრებამ მხარი დაუჭირა მომატინგეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას.

თბილისში მთავრობის სახლის წინ, მიმდინარე მიტინგის დასაშლელად1989 წლის 9 აპრილის დილისთვის მზად იყვნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები და მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოსროლილი საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეც დანიშნულების რაზმი. მიტინგის დაშლას უშუალოდ მეთაურობდა გენერალი იგორ როდიონოვი.

1989 წლის 9 აპრილის ღამეა. მთავრობის სახლის წინ მშვიდობიანი მრავალ ათასიანი მიტინგი გრძელდება, აქ არიან ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები, საქართველოს კათალიკოსი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც იქ ბრძანდება. ის თხოვს მომიტინგეებს დაიშალონ, თუმცა უარია. ილიას მიმართვა. მომიტინგეები არაფერს ცუდს არ აკეთებენ. ქვა რომ ქვაა ისიც კი არავის მოეძევება, არ უნდათ პროვოკაციის საბაბი მიცენ მტერს, ისევე როგორც 1956 წლის 9 მარტს და მუხმოდრეკილი ათასობით ქართველი „მამო ჩვენოს“ კითხულობს. მამაო ჩვენო

პროსპექტზე კი 4 რიგად დგანან ე.წ. „ ბეტეერები“. ელავენ ჯარისკაცთა ჩაჩქნები და ფარები. არავითარი პანიკა, არავითარი არეულობა ქართველები გზას უთავისუფლებენ რკინის ურჩხულებს
.
უცებ სიჩუმე გაკვეთა სიმღერამ, ეს უსინათლო გოგონები მღეროდნენ, ქართველები ლოცვითა და „შავლეგოთ“-ი ეგებებიან მტერს, თითქოს იქ სულეთში აბორგდა შალვა ახალციხელის უდრეკი სული.
სიმღერა შავლეგო

ახლოა ჟამი შუაღამისა,
ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება...
კვდება სრულიად საქართველოსთვის,
ლოცვით, გალობით, ახლა ვინც კვდება!

ახლოა ჟამი, ჟამი ცისკრისა,
იწვიმებს სისხლი, დადგება ტბებად...

კვდება სრულიად საქართველოსთვის,
მამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება!

თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მოდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!

არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვჰყრიდე თვით ფერფლსა!

თუკი იმედი მე საიქიოს
გამყვა უკეთეს მომავალისა,
რომ ჩემს შემდეგი შთამომავლობა
იქნება შემგნე თვისის ვალისა!

დიახ! თუ მოძმეთ გამოადგება
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა...
გამოღვიძებულს სურვილს ქვეყნისას
ხელს მოუმართავს, მრწამს მე, თვით ზეცა!..

ასე გამოიყურებოდა 9აპრილის ის საღამო. ტკივილიანი,პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული და მოულოდნელობით მოცული თბილის ქუჩები.განწირული ყვირილით,აალებული გულებით და მთავრობის მიერ განწირული ახალგაზრდებით.ასე გამოიყურებოდა თითოეული იქ მდგომი გმირი ქართველი.მათი გულები სცემდა გამალებით,თავისუფლებისა და სიყვარულის შეგრძნების სურვილით გაჟღენთილი! ნუთუ ასეთი მარტივია თავგანწირვა,ნუთუ ასეთი მარტივია იქ დგომა და იმის გააზრება,რომ ეს არის შენი დასასრული, ეს არიდ შენი ცხოვრების ბოლო, შენი ცხოვრების თუმცა არა შენი სამშობლოს და შენ მზად ხარ ამისთვის,თავგანწირვისთვის,დაე მოხდეს ეს ყოველივე დღეს! დაე დავიხოცოთ თუ ეს ხვალ ბედნიერებას, თუ მშვიდობას მოიტანს! დაე იყოს ეს აღსასრული ჩვენი ხორცისა! მაშინ მე მზად ვარ! ასე აზროვნებდა 9 აპრილს მათი გონება,იქნებოდა ეს იყო15 წლის გოგონა, თუ 70წლის ქალბატონი…ეს იყო მათი იმედი და რწმენა იყო მათი საზრდო…რწმენა ჩვენი,მომავალი თაობისა,რწმენა თავიანთი თავისა და ყველაზე მეტად რწმენა ჩვენი სამშობლოსა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისა, საქართველოს მომავლისა.

კადრები 9 აპრილის ფონად

მერე მოხდა ის რამაც შეაძრწუნა მთელი საქართველო, გამთენიის 4 საათზე მომიტინგეებს დამშლელმა ნაწილებმა ყველა მხრიდან ალყა შემოარტყეს, ისინი შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებთ, ალესილი ნიჩბებით, მომწავლელი გაზით. რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იერიშთ შეიჭრა მთავრობის სახლის წინ მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებს, მოშიმშლე ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობას დასუსტებული ქალები და გოგონები წარმოდგენდნენ, დამბრვევთა სისასტიკემ მოლოდინს

გადააჭარბა. მოედანზე დარჩა 19 მოკლული აქედან 16 ქალის ცხედარი. არაერთმა დაჭრილმა გაქცევით უშველა თავს, 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა.მომდევნო დღეებში საავადმყოფოში გარდაიცვალა კიდევ 2 ადამიანი.

გაუგონარი ცინიზმია, მეტიც... 1924, 1937, 1956, 1989 წლის მკვლელობები ქართველი ერის ფიზიკური გენოციდია. სწორედ იმ დღეს აჟრდაა მთელი ძალითა და სიმართლის დიდი გალაქტიონის პოეტური მანიფესტი: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა."

ამ წყურვილმა გამოიყვანა ხალხი ქუჩებში, სწორედ ამ წყურვილის ჩახრჩობა მოინდომეს ბოროტმა ძალებმა, გოდება გვმართებს უმანკო მსხვეპლთა გამო, მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მათი წმინდა სისხლი ტყუილ უბრალოდ არ დაღვრილა. იგი საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცის დუღაბად იქცა.

სამარადისოდ ოქროს ასოებით ჩაიწერება მათი სახელები საქართველოს ისტორიაში:

1) **ადამია აზა 22 წლის**

აზა მარტვილის რაიონში დაიბადა და ბავშვობაც იქ გაატარა. განსაკუთრებულად უყვარდა ძმა, კობა, რომელთანაც საოცარი ურთიერთობა ჰქონდა. მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანი იყო. სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტს, დიპლომის აღებას სამი დღე აშორებდა... სწავლის პარალელურად საბავშვო ბაღში მასწავლებლად მუშაობდა, პატარებისთვის ფორტეპიანოზე საბავშვო ნაწარმოებებს უკრავდა. ძალიან უყვარდა თავისი პროფესია. წუთით არ ისვენებდა. მისი პროექტით რამდენიმე კორპუსიც აშენდა თბილისში. უნდოდა, რაც შეიძლება მეტი სიახლე შეეტანა ნამუშევრებში, პროფესიაშიც თავისუფლება ხიბლავდა ყველაზე მეტად.

2) **ბეჟანიშვილი ეკა 15 წლის**

"ეკა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს დაღუპული ყველაზე პატარა გმირია.
ის წარმოშობით ტიბაანიდან იყო და თბილისში ცხოვრობდა. 16 წლის ეკა კომაროვის სკოლის მე-10 კლასში სწავლობდა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია. მთავრობის სახლის წინ ათობით ათასი მომიტინგე იკრიბებოდა, მათ შორის იყო ეკაც. ის აქციებზე კლასელებთან ერთად დადიოდა და მშობლებლსაც ეუბნებოდა, რომ იცოდეთ რა მუხტია, იქიდან წამოსვლა აღარ მოგინდებათო.
როგორც დედამისი, ლალი ყანჩაველი იხსენებს, ეკა სახლში ყოველთვის დროულად ბრუნდებოდა. 8 აპრილს მამამ მასწავლებელთან დატოვა, იქიდან ეკა აქციაზე წავიდა. საღამოს 8 საათი რომ გახდა და სახლში არ დაბრუნდა, მშობლებმა მისი ძებნა დაიწყეს,მაგრამ ვერ იპოვეს.ეკას დედა ამბობს, რომ ამ მომენტიდან აღარაფერი ახსოვს. მეხსიერება სრულად მხოლოდ 6 თვის შემდეგ აღუდგა, საკუთარი შვილის დაკრძალვას არ დასწრებია.
ეკა ბეჟანიშვილი დღიურსაც აწარმოებდა სადაც ერთი ასეთი ფრაზა ეწერა — „ადამიანი ისე როგორ უნდა მოკვდეს, რომ საკუთარი კვალი არ დატოვოსო".

3) **გიორგაძე ნატო 23 წლის**

ნატომ სკოლა ჩოხატაურის რაიონში დაამთავრა. პროფესიით ელექტროინჟინერი, ჯერ კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, მერე კი რადიოქარხანაში, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა და-ძმასთან. ნატო და მისი ძმა ნაბოლარა დაზე 14-15 წლით უფროსები იყვნენ და შვილივით უვლიდნენ.იცოდა ჭრა-კერვა, უკრავდა გიტარაზე, ძალიან კარგად თამაშობდა ჭადრაკს. მოწაფეობისას დასავლეთ საქართველოს ჩემპიონიც გახდა.ეროვნულ მოძრაობაში რომ ჩაერთო, ოჯახის წევრები ღელავდნენ, ნატო კი ამბობდა: მერე რა მოხდა, სამშობლოს თუ შევეწირებიო.„ერთადერთი, იმაზე დამწყდება გული, შენ რომ გაგამწარებო", - უთქვამს ერთხელ დედისთვის.

4) **დოლიძე თამუნა 28 წლის**

ძლიერი და უშიშარი იყო. ჯერ კიდევ თორმეტი წლისამ, სიონის ტბაზე გოგონა დახრჩობას გადაარჩინა - ეს მაშინ, როცა თავად ცურვა არ იცოდა. მოგვიანებით აქციის მონაწილეები ჰყვებოდნენ, რკინის ფარებს შიშველი ხელებით ებრძოდაო. რა გასაკვირია, რომ მისი სამაგიდო წიგნი „დათა თუთაშხია"

იყო.დოლიძეზე ცხოვრობდა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და ტელევიზიაში, ფირის გადამამუშავებელ ლაბორატორიაში მუშაობდა.
9 აპრილის საღამოს შინიდან გაიპარა. დედა არ უშვებდა. მეზობელმაც გააფრთხილა, ქალაქს ტანკები უახლოვდება, არ წახვიდე, სახიფათოაო, მაგრამ თამუნამ უპასუხა, ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სიცოცხლე თავისუფლებას შეეწირებაო და გზა განაგრძო.

5) ენუქიძე თინა 70 წლის

თინას თავის სიცოცხლეში არაერთი ტრაგედია ჰქონდა გადატანილი. 27 წლისა დაქვრივდა, მოგვიანებით კი, უკვე ასაკში შესულმა, შვილიც დაკარგა. მთელი ცხოვრება შვილებსა და შვილიშვილებს მიუძღვნა.
მისი შვილი იხსენებს:
შვიდში საღამოს, ჯარი რომ გამოჩნდა "დინამოს" სტადიონთან, შემეშინდა და ვთხოვე, რომ აღარ წასულიყო მიტინგზე. მაგრამ მკაცრად მომიგო: შვილო, ამ ჭაღარის პატრონს ვინ რას გამიბედავს, იმ ბავშვებს კი გადავარჩენ ჩემი იქ ყოფნითო, თუ მოხდება, მე ვიცოცხლო და ისინი დაიღუპნონ? სჯობს მე შევეწირო მათ მაგივრად! მართლაც, ვიღაც მოშიმშილეს გადაფარებია და ისე მოუკლავთ.

შავ-შავი კაბების ამოფრიალებით,
წრედ შეკრულ სინათლის ირგვლივ,
თავზე დაიდგამენ დღეს ჩვენი ქალები
ყველაზე ეკლიან გვირგვინს.
ძაფებს საფეთქელზე, ნეტავი, ვინა თვლის,
რა უნდა თვალებში წვიმას...
ყველაზე ხნიერო, დედაო თინათინ,
შენ უნდა წაუძღვე იმათ.
გოგონებს შეხედე, ამ დამფრთხალ გოგონებს,
თვალგაფაციცებულ ჩიტებს.
მოასწრონ, მოასწრონ, როგორმე, როგორმე,
თორემ ხვალ ეცლებათ კიდევ?

რაგინდარაფერი რანაირ სინათლის
თვალებში ბრჭყვიალით ჩაშრეს,
დედა ხარ და დედის მაგიერ, თინათინ,
შენ უნდა მიხედო ბავშვებს.

აქ ჭირისუფლობას ვერავის დაუშლი
და ყველას თავისი უთქვამს.
სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმის ხმაურში -
სხვაგვარი ხმაური სუნთქავს

6) თოიძე ნინო 22 წლის

ჭკვიანი და მოწესრიგებული გოგონა იყო ნინო, მუსიკა უყვარდა და კარგადაც უკრავდა.
იმ დროისთვის უჩვეულო გატაცება ჰქონდა - ავტომობილის მართვა. ქალი მძღოლი მაშინ დიდი იშვიათობა იყო, ნინო კი მამის „06"-ით ხშირად დადიოდა ქალაქში.
ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად იყო ჩართული და სხვებსაც მოუწოდებდა ამისკენ. სამშობლო და მეგობრები სიცოცხლეს ერჩივნა. 9 აპრილს ორივესთვის იბრძოლა. უკვე სამშვიდობოს იყო გასული, როდესაც უკან მიიხედა და მეგობარი აზა ადამია დაინახა. ნინო მის დასახმარებლად მიბრუნდა...

” ნინო ფაქტიურად სამშვიდობოს იყო გამოსული,როცა დაინახა, რომ რუსი სამხედროები ორლესული ნიჩბებით მის მეგობარ აზა ადამიას ურტყამდნენ. ნინო სასწრაფოდ აზას მისაშველებლად მივიდა, მაგრამ სამწუხაროდ რუსმა სამხედროებმა ნინოც ორლესული ნიჩბით აკუწეს.

7) კიკვიძე ზაირა 61 წლის

61 წლის, კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, თბილისიდან.
ზაკო ჭეშმარიტად ქრისტიანული სულის ადამიანი იყო: ღრმად მორწმუნე, მარხულობდა აპრილის დღეებში. ყველა ადამიანში ეძებდა სიკეთეს, ძვირს ვერავისზე ათქმევინებდი. განსაკუთრებით ემარჯვებოდა ბავშვებთან ურთიერთობა. როცა ქალაქში ტანკებმა ჩამოიარა, სახეშეშლილი დაბრუნდა სახლში: — არა, ეს არ უნდა ვაპატიოთ, ჩვენ ყველანი უნდა შევეწიროთ და ეს მაინც არ უნდა ვაპატიოთ!

8) ლოლაძე მანანა 34 წლის

მანანა თბილი და პრინციპული ადამიანი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ არსად ჩაუბარებია - მოხუც დედ-მამას და ოჯახს უვლიდა. მარჯანიშვილზე აფთიაქში მუშაობდა.
5-6 წლისა „გლახის ნაამბობსა“ და „ბაში-აჩუკში“ ეპიზოდურ როლებში გადაიღეს.
როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მანანა შიმშილობდა. შემდეგ ექიმის რჩევით შეწყვიტა, მაგრამ მაინც სულ აქციაზე იყო და მოშიმშილეებისთვის წამლები მიჰქონდა. 8 აპრილის ღამეს, როდესაც მშობლებმა დაიძინეს მანანა რუსთაველზე გაიპარა. მისი რძალი იგონებს: პანაშვიდზე ერთი ახალგაზრდა მილიციელი ქალი მოვიდა და გვითხრა: “მე გადამეფარა, შენ ოჯახი და შვილები გყავს და უნდა იცოცხლოო”- ის ,რომ არ ყოფილიყო, მე ცოცხალი ვერ გადავრჩებოდიო.

9) მამულაშვილი თამარ 50 წლის

თუ შეიძლება, ვინმეს ეწოდოს „განათლებული“, „ინტელექტუალი“, „წიგნიერი“, ეს თამარ სვანიძე-მამულაშვილი იყო. ამბობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. რუსთაველის საზოგადოების წევრი, აღმერთებდა პოეზიას, განსაკუთრებით - ქართულს, და ბავშვებსაც ზღაპრებზე ხშირად ლექსებს უკითხავდა. თამარს და მის მეუღლეს, ერმილეს, ორი შვილი ჰყავდათ, რომლებიც უკრაინაში იშვილეს. დატოვებდა ხოლმე ბავშვებს ბაღში, თავად კი სამსახურისკენ გააგრძელებდა გზას. საოცარი კონდიტერიც იყო. ესეც გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მის სახლში, სტუმარი არ ილეოდა. ყველაზე ბრუნავდა. საპროტესტო აქციის მონაწილეთათვის ყოველდღე მიეტანა საკვები. პატრიოტული სულისკვეთება ჯერ კიდევ სტუდენტობიდან ჰქონდა გამჯდარი. 1956 წლის დემონსტრაციებშიც მონაწილეობდა.მისი ოცნება თავისუფალი საქართველო იყო.

10) ნოზაძე მამუკა 21 წლის

სამი დედმამიშვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. ლაგოდეხის რაიონში გაიზარდა და სკოლის დამთავრების შემდეგ იქვე, კონსერვის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მალე სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. მისი დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და თბილისში, საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში ჩააბარა. მამუკა დაუზარელი და შრომისმოყვარე იყო. ჯან-ღონით სავსე ბიჭს ჩაგრულთა დამცველად იცნობდნენ. იმ ღამითაც გოგონებს იცავდა.
მამუკას არ უყვარდა ჩრდილში ყოფნა, მას ყველგან შეამჩნევდით, შინ კი სიტყვაძუნწი იყო, პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს ერიდებოდა, ამიტომ ის, რაც ოჯახმა ყურმოკვრით იცოდა, დანამდვილებით მხოლოდ მამუკას გარდაცვალების შემდეგ გაიგო მისივე მეგობრებისგან - მამუკა შეყვარებული იყო და ოჯახის შექმნასაც აპირებდა.ხშირად ჩადიოდა ლაგოდეხში, მშობლებთან. ბოლო ჩასვლისას დაიბარა - შემდეგ შაბათ-კვირას მეგობრის ქორწილია და ვერ ჩამოვალო. სინამდვილეში ქორწილში კი არა, 9 აპრილის აქციაზე მიდიოდა.

11) სამარგულიანი ნანა 41 წლის

ნანა სამ დასთან, ძმასა და რძალთან ერთად ცხოვრობდა. ბავშვობიდანვე მშვიდი, გაწონასწორებული, ზედმეტად თავმდაბალი იყო. შემოქმედებითი სამუშაო იზიდავდა. მუშაობდა საპატრიარქოში, ამასთან ერთად, ასწავლიდა 53-ე სკოლაში, ამზადებდა რადიო გადაცემებს...
ნანა ფოტოხელოვნებით იყო გატაცებული. ხშირად ჩადიოდა ბორჯომში - განსაკუთრებით უყვარდა შემოდგომა - და საინტერესო პეიზაჟებით ბრუნდებოდა. დარჩა ერთი შვილი - რუსუდანი, რომელიც მაშინ ხუთი წლის იყო. 9 აპრილს ნანა რძალთან, მარინა სამარგულიანთან ერთად დაიღუპა.

12) ჭყონია-სამარგულიანი მარინა 31 წლის

მარინა მკაცრი და მომთხოვნი იყო, ენერგიული და სიცოცხლით სავსე, არასდროს აგვიანებდა, არასდროს ავიწყდებოდა თავისი მოვალეობა. ყველაფერს ასწრებდა: ორი შვილის გაზრდას, სამსახურს, დიასახლისობას, სტუმრების გამასპინძლებას.
პრაგმატული უფრო ეთქმოდა, ვიდრე მეოცნებე. კოხტად და მოხდენილად ჩაცმა უყვარდა.
სკოლის შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი დაამთავრა და სააფთიაქო სამმართველოში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა.მეუღლე სკოლაში გაიცნო. ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. სტუდენტობისას დაქორწინდნენ. მარინა ოჯახის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებდა... ქმარმა მისი სიკვდილი ვერ გადაიტანა და ტრაგედიის შემდეგ მალევე გარდაიცვალა...

13) ჭიპაშვილი ელისო 25 წლის

მტკიცე ხასიათის, შრომისმოყვარე გოგონას სამედიცინო განათლების მიღება სურდა. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექთანად მუშაობდა. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა პაციენტების მიმართ და მათ სიყვარულსაც იმსახურებდა.სოფელში ყოფნა ყველაფერს ერჩივნა. სიამოვნებით ეხმარებოდა ბებიას საქონლის მოვლასა თუ მწყემსვაში. უყვარდა ზღვა, ცურვა თავის სტიქიად მიაჩნდა. ეხერხებოდა კერვა, ტანსაცმლის გადაკეთება. რასაც ხელს მოჰკიდებდა, საკუთარ სტილს შესძენდა ხოლმე. უყვარდა ცხოველები, განსაკუთრებით - ძაღლები.
ნათესავები ხუმრობით „ქმრის პატრიოტს“ ეძახდნენ - რაც უნდა მომხდარიყო, მეუღლეზე ძვირს ვერ ათქმევინებდი, ყველგან იცავდა და ქომაგობდა. ბედნიერი იყო, მომავალსა და შვილებზე ფიქრობდა. ოთხიოდე თვეში მისი პატარა უნდა მოვლენოდა ქვეყნიერებას...უშიშარი იყო, ცოტა ჯიუტიც. თუ რამეს გადაწყვეტდა, ვერავინ გადააფიქრებინებდა. 9 აპრილის ღამესაც ბოლომდე გმირულად იდგა რუსთაველზე. იმ ავად სახსენებ ღამეს ეუღლის სანახავად წავიდა, რომელიც ათენებდა და აღამებდა რუსთაველზე, ელისო დაიღუპა ისე, რომ მეუღლე ვერც ნახა, ელისოს მამა იგონებს:
"ერთმა კაცმა ჩამომიტანა ამბავი ფასანაურში: იმ ღამით ვიღაც ბავშვისთვის დაურტყამთ სალდათებს და იმ ბავშვს გადაფარებია ელისო. ეხლა ელისოს რომ მოუტრიალდა სალდათი, შეუძახნია: — რას შვრები, მე ფეხმძიმეთ ვარო! იმას კიდევ უფრო გამეტებით დაურტყავს: — „იშჩო ლუჩშეო!"

14) ჭოველიძე თამარი 16 წლის

ერთი თვეც და სკოლას დაამთავრებდა გოგონა, რომელმაც, 16 წლისა რომ გახდა, მამას უთხრა: „აღარ დამიძახო თამრიკო ან თამუნა, მე თამარი ვარო“. ეს თამარ ჭოველიძე იყო, 51-ე სკოლის ნამდვილი ლიდერი. ძალიან კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით - ისტორიას.
მამა თამარის კუმირი იყო, მისი გმირი. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ.
თამარი შესანიშნავად თამაშობდა ჩოგბურთს, კარგად ქსოვდა.
ერთ დღეს პატარა ლეკვი მიუყვანეს, რომელსაც ლესი დაარქვა. ლესი მალევე დაიკარგა. თამარმა ძალიან განიცადა. სულ ეძებდა. მისი გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ საოცარი ამბავი მოხდა: ლესი შინ დაბრუნდა, თამარის საწოლზე დაწვა, იტირა და წავიდა.

15) ჯანგირაშვილი ნოდარი 40 წლის

მეგობრები დონ კიხოტს ეძახდნენ, ოჯახის წევრები - კეთილ დევს. სპორტული, ათლეტური აღნაგობის კაცი იყო. ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი

ინიციატივით გაიმართა პირველი ჩემპიონატი აერობიკაში. უყვარდა სპორტული წიგნებისა და ენციკლოპედიების კითხვა. თავადაც წერდა სტატიებს, რომლებიც „ლელოში“ იბეჭდებოდა. არ სვამდა და არ ეწეოდა, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევდა.
ერთხელ, ტურისტულ ლაშქრობაში, ტანია ჰოფმანი გაიცნო, რომელთანაც შვილიც შეეძინა. როცა დაიღუპა მეორე შვილის დაბადებას ელოდებოდა

16) ჯინჭარაძე მზია 43 წლის

მზიას ცხოვრება სავსე იყო სიხარულით და ტკივილით. ბავშვობა უდარდელი ჰქონდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, უნივერსიტეტი – წითელ დიპლომზე. თუმცა ბედნიერ დღეებს დიდი ტრაგედია მოჰყვა: ჯერ ექვსი წლის ვაჟი გარდაეცვალა, მერე – მეუღლე, ცნობილი ექიმი. თავადაც ექიმი იყო, ფსიქიატრი. პარალელურად სამედიცინო ტექნიკუმში ასწავლიდა. სტუდენტებს ძალიან უყვარდათ. მუსიკალური ათწლედიც ჰქონდა დამთავრებული და ფორტეპიანოზე კარგად უკრავდა. უყვარდა ლიტერატურა, სულ წიგნი ეჭირა ხელში. შვილთან ერთად არჩევდა ხოლმე ნაწარმოებებს. ამდენი ტრაგედიის შემდეგ გოგონას განსაკუთრებული სიფრთხილით ზრდიდა. კერვაც ეხერხებოდა და შვილს პატარაობისას თვითონვე უკერავდა კაბებს.
„მოხდენილი და გარუჯული, გამორჩეულად ლამაზი იყო“, – იხსენებს მზიას შვილი.

17) მელქაძე მანანა 26 წლის

შვიდი და რომანტიკული ბუნების მანანას უამრავი ინტერესი და მისწრაფება ჰქონდა. პროფესიით ფიზიკოსი, ძალიან კარგად ქსოვდა, კერავდა, ქარგავდა. დადიოდა ქართულ ცეკვაზე, მუსიკაზე. განსაკუთრებით უყვარდა „მთვარის სონატა“. პოეზიას განსაკუთრებული ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში. მეგობრების წრეში ხშირად კითხულობდა ტერენტი გრანელის, გალაკტიონის, ლადო ასათიანის ლექსებს. კითხვა უყვარდა. ამბობდა ხოლმე, მინდა, ისე მოვკვდე, ქვეყანა შეიძრას, ყველამ გაიგოს, რომ მანანა მელქაძე მოკვდაო.როდესაც 9 აპრილს დედამ სიფრთხილისკენ მოუწოდა, მანანამ უთხრა: ქართველს თავისუფლება ძალიან სჭირდებაო, – და შინიდან გავიდა.

18) ქარსელაძე გიორგი 25 წლის

გია ბავშვობიდან გამორჩეული იყო – გარეგნობით, მამაკაცური თვისებებით და ლიდერის ხასიათით. ყველა იცნობდა, ყველა პატივს სცემდა, ყველას უყვარდა. ოცდახუთი წლისას, მეგობრები უკვე ლიდერად მიიჩნევდნენ. მართლაც, გიას შეეძლო ყოფილიყო მომრიგებელიც, დამცველიც...დიდი პოპულარობით სარგებლობდა გოგონებშიც. მისი ღრმა, მამაკაცური ხასიათი და ინტელექტი ყველას ხიბლავდა. ფეხბურთის თამაშის დროსაც კი გამოირჩეოდა, თავისი სტილი ჰქონდა.„ნამდვილი ვაჟკაცი იყო. არც კი გაგაგებინებდა, ისე გიცავდა შორიდან“, – იხსენებს მისი მეგობარი.

19) ბაშალეიშვილი ნათია 16 წლის

ულამაზეს, ზღვისფერთვალება გოგონას ძალიან უყვარდა ზღვა. არდადეგებს ბიჭვინთასა და ოჩამჩირეში ატარებდა. გამორჩეული მოსწავლე არ ყოფილა, თუმცა ჰუმანიტარული საგნები იზიდავდა. შეეძლო ქსოვა, კერვა, ქარგვა. დედასთან მეგობრობდა, ყოველდღიურ საქმიანობაში ეხმარებოდა. ერთად აგვარებდნენ პრობლემებს. არც სოფელში თაკილობდა შრომას.
საუკეთესო მეგობრობა იცოდა. აქციაზეც მეგობართან, თამარ ჭოველიძესთან ერთად იყო...

20) მეტრეველი ვენერა 45 წლის

განსაკუთრებით თბილი ადამიანი იყო – კეთილი, უბოროტო, სათნო. ყველას სატკივარი გულთან მიჰქონდა. ექთნად მუშაობდა. პაციენტებს განსაკუთრებული სითბოთი და ყურადღებით ეპყრობოდა.მძიმე პირადი ცხოვრება ჰქონდა, შვილი ჰყავდა პატიმარი და ამ ამბავს განსაკუთრებულად განიცდიდა.თუმცა მას შემდეგ რაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო, სულ სხვანაირი გახდა. ამბობდა მათთან ყოფნა მამშვიდებსო. მომავალს იმედით უყურებდა.

21) ქვასროლიაშვილი შალვა 35 წლის

შალვა თელავის რაიონის სოფელ აკურაში დაიბადა და გაიზარდა. იქვე ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა. ვაზს უვლიდა და ღვინოს აყენებდა.ქორეოგრაფიული ტექნიკუმი დაამთავრა და იქვე გაიცნო მომავალი მეუღლეც. ორ შვილს ზრდიდნენ.
უყვარდა ბავშვებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობა. ქართულ ცეკვას ასწავლიდა თელავში, გურჯაანსა და ახმეტაში.იდეალური ქმარი და მამა იყო. ოცნებობდა, მისი შვილები წარმატებული ადამიანები დამდგარიყვნენ.

ყვავილების ხალიჩასთან რუსთაველზე დარია
ვაი, ნიჩბით დაჩეხილო თვალხატულა დაიავ!
ცრემლგამშრალი ყვავილები, ქარმა ცეკვით არია,
ვაი, უღვთოდ გაწირულო ფრესკის მსგავსო ძამიავ!

ღმერთმა რისთვის დაგვატეხა, თავზე ცოდო-ბრალია,
სანთლებს გინთებთ საქართველო, ცრემლმა გულის გალია,
თუ ჩაგესმით ნეტავ მაინც ჩვენი მოთქმა ზარია?
მამულისთვის შეწირულო, ძამიავ და დაიავ!
რუსთაველზე ქარი ქრის და რუსთაველზე დარია...

შენ, საქართველოს იმედად და ვარდად გაშლილო,
ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაძა აპრილის თვეში,
შენ საქორწილო კაბა უნდა ჩაგეცვა, შვილო,
ვარდების ნაცვლად შავი დროშა გიჭირავს ხელში.

სამშობლოსავით ხარ ამაყი, ლამაზი, მტკიცე,
ხარ ქეთევანის და წყნეთელის გენის და ჯიშის.
ცრემლით კი არა, ეგ თვალები სავსეა ფიცით,
არავითარი დაჩოქება, კრთომა და შიში.

ერის რისხვას და ხალხის წუხილს ვინ შეაკავებს,
გზა გოლგოთისა აღრეც ბევრჯერ გამოგივლია.
ქართველი ქალის დროშა ახლა არის აკვანი
და „იავნანა“ ყოველ ქართველ დედის ჰიმნია.

დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი და მრისხანება,
წინაპრებივით უმკურნალე ქვეყნის იარებს,
შენი ცხრა შვილის ცხრა პერანგი მტრების ჯინაზე
სამშობლოს ცაზე დროშასავით ააფრიალე.

ყოველი ქართველი მოხუცი თუ ახალგაზრდა, მოვალეა იცოდეს, რა მოხდა იმ დღეს თბილისში. რადგან ამ ორასი წლის მანძილზე არასოდეს არ ყოფილა ქართველები ისეთი ლამაზი, ამაყნი და ღირსეული, როგორც 9 აპრილს, რადგან ქართველები იმ დღეს ერთად იყვნენ და ერთმანეთი უყვარდათ. რადგან იმ დღეს სრულიად საქართელოს და მის გულს – თბილისს აზანზარებდა ორი სანუკვარი სიტყვა: სამშობლო და თავისუფლება. რადგან ქართველები ამ დღეს ტანკებს ლოცვით ,სიმღერითა ცეკვით მიეგებნენ, რადგან არაფერი არ იყო იმაზე უფრო სულისშემეძვრელი და დიადი, როგორც მიხაკებით ცეცხლმოკიდებული რუსთაველის პროსპექტი.

ცა იყო უღმერთოდ მოღრუბლული,
მატლები გადმობობღდნენ ეშმაკის ფაშვიდან, –
მოდგა ურჩხული და არაყი მოითხოვა,
სისხლი დალია და დამშვიდდა.

დედინაცვალმა რომ დედობა მოინდომა,
წიქარა გამოვიხმე ჯადოსნურ ზღაპრიდან, –
მოდგა სიკვდილი და საჭმელი მოითხოვა,
ფრთები წამგლიჯა და გაფრინდა.

ბარ–ნიჩბით გაგვილახეს გაზაფხული,
ნატვრა აუსრულეს ბატონებს,
დათვებმა გაგვიწიეს დათვური სამსახური,
მიგვყარ–მოგვყარეს და დაგვტორეს.

ლოცვა და გალობა არ გვაცალეს,
ჭკუას არც ვინ სთხოვდა აშარებს,
ქრისტეს სიყვარული ჩაგვამწარეს,
კი არ დაგვამარცხეს, დაგვშალეს.

ფეხით გადაქელეს ფეხმძიმე ქალი,
მხრები ჩამოსხიპეს ყმაწვილებს,
ჰაერი მოგვიწამლეს მამალი შხამით,
სული ამოგვხადეს და დაგვცინეს.

ურცხვთაგან შეწყალებას ვინ მოელის,
რომელი მსაჯული და რა ციხე,
ტანკებით გადაგვიხნეს მინდორ–ველი,
ხნულში ჩაგვყარეს და ჩაგვწიხლეს.

ერთ წამს გაგვიასდა ცხრა იარა,
მუხლი მოიკვეთა მთაწმინდამ, –
მოდგა აპრილი და ტიტებზე გაიარა,
დარჩა თბილისი და ატირდა.

ალბათ ღამე უნდა გავათენოთ,
მჯერა, კვლავ ცხელ სანთლებს აღვანთებთ, –
ისე არ მოკვდება საქართველო,

დედა არ უტიროს ჯალათებს!

თუმცა დღეს ვარდისფრად გვიღიმის აპრილი,
გულს მაინც ტკივილი სერავს,
წლებია გასული, განცდილი ელდა კი
არ გაგვნელებია ჯერაც.

რუსთაველს ჯერ ისევ ატყვია წინწკლები
ცხრა აპრილს დაღვრილი სისხლის,
ქაშუეთს ჩაუვლი, კვნესა და სიმღერა
თითქოს და ზეციდან ისმის.

ოცდაერთ სიცოცხლეს, ნიჩბებით დაჩეხილს,
ასობით მოწამლულ ქართველს...
თაყვანისცემა და პატივი, დიდება,
დაღუპულთ ავუნთებთ სანთელს...

კვლავ გავა წლები და აპრილი ჩვეულად
შემოვა ასობით ფერით,
ეს დიდი ტკივილი არასდროს გაქრება,
სანამ იარსებებს ერი

სიმღერა -ტიტები

9 აპრილის ტრაგედიას უკვალოდ არ ჩაუვლია. ეროვნულმა მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. დანგრევის პირას მისულმა სსრკ-მა წინააღმდეგობა ვერ გაუწია საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას 1990წლის 28 ოქტომბერს, სადაც გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა: "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო", რომელმაც ხმათა 62 % მიიღო. საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა რესპუბლიკად, ხოლო უზენაესი საბჭოს თავჯდომარე გახდა გამარჯვებული კოალიციისა და ეროვნული მოძრაობის უპირობო ლიდერი- ზვიად გამსახურდია.

1991 ქლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 97%-მა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით 1991წ. 9 აპრილს, უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

კადრები

ჰიმნი